საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 1902/09

29/03/2016

პოლიტიკურ გაერთიანებას
"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა"

როგორც მოგეხსენებათ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე ახორციელებს მონიტორინგს და ამ მიზნით უფლებამოსილია შეიმუშაოს საფინანსო დეკლარაციის ფორმები და გამოითხოვოს პარტიის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანების პროექტი „პოლიტიკური ფინანსების გამჭირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, რომლის მიხედვითაც უნდა დამტკიცდეს პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი ერთიანი წესი.

გიგზავნით აღნიშნული პრძანების პროექტს, გთხოვთ გაეცნოთ და შენიშვნებისა და კომენტარების არსებობის შემთხვევაში გვაცნობოთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა.

დანართი: „11“ ფურცლად

პატივისცემით,

ზურაბ აზნაურაშვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164